


შპს იბერია 2005”

ს/კ: 206164238

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერით
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის



იბერია
IBERIA | 2005

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
	მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	4
	კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
	ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
	ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1	შესავალი	7
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	7
3	მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	13
5	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	13
6	ძირითადი საშუალებები	14
7	ფული და ფულის ექვივალენტები	15
8	სასაქონლო მატერიალური მარაგი	15
9	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
10	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
11	სესხები	16
12	პირობები და ვალდებულებები	17
13	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	17

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
აქტივები			
ფული და ფულადი სახსრები	7	31,640	83,894
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	1,408,794	1,041,573
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	296,157	219,439
გაცემული ავანსები		16,920	259
გაცემული სესხები		119	-
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
სხვა საგადასახადო აქტივები		26,035	23,929
ძირითადი საშუალებები	6	507,198	550,158
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ აქტივები		2,286,863	1,919,253
ვალდებულებები			
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	16,262	326,995
მიღებული ავანსები		28,722	834
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		-	-
აღებული სესხები	11	310,581	-
სხვა ვალდებულება		-	-
სულ ვალდებულებები		355,565	327,830
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,100	2,100
სარეზერვო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,929,198	1,589,323
სულ საკუთარი კაპიტალი		1,931,298	1,591,423
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,286,863	1,919,253

ხელმოწერი პირები:

ნიკოლოზ დეკანოსიძე
დირექტორი

სანდრო გახელაძე
ფინანსური დირექტორი

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი	6,018,057	4,371,924
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(4,747,621)	(3,449,532)
საერთო მოგება	1,270,436	922,392
ხელფასის ხარჯი	(202,270)	(151,590)
ტრანსპორტირების ხარჯი	(2,220)	(2,853)
იჯარის ხარჯი	(59,415)	(49,762)
კომერციული ხარჯი	(1,038)	(1,033)
კომუნიკაციის ხარჯი	(1,117)	(1,222)
კომუნალური ხარჯი	(247)	(523)
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	-	(693)
რემონტის ხარჯი	(34)	(110)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(339)	(317)
დაზღვევის ხარჯი	(544)	(302)
ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯი	(44,015)	(44,046)
ქონების გადასახადის ხარჯი	(5,142)	(5,557)
საპენსიოს ხარჯი	(8,220)	(5,853)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(5,645)	(6,480)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(330,247)	(270,342)
საერთო მოგება	940,189	652,049
საპროცენტო შემოსავალი	129	2,171
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-
სხვა არა-საოპერაციო შემოსავლები	120,480	48,574
სულ არა-საოპერაციო შემოსავლები	120,609	50,745
საპროცენტო ხარჯი	(76,034)	(15,057)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	112,112	(28,001)
სხვა არა-საოპერაციო ხარჯები	(2)	(422)
სულ არა-საოპერაციო ხარჯები	36,076	(43,480)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	1,096,875	659,315
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(378)
წმინდა მოგება	1,096,875	658,937

EBITDA	984,205	696,095
--------	---------	---------

ხელმოწერი პირები:

 ნიკოლოზ დეკანოსიძე
 დირექტორი

 სანდრო გახელაძე
 ფინანსური დირექტორი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2022	2,100	-	1,589,323	1,591,423
მოგება წლის განმავლობაში	-		1,096,875	1,096,875
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-		(757,000)	(757,000)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	2,100	-	1,929,198	1,931,298

ხელმოწერი პირები:

 ნიკოლოზ დეკანოსიძე
დირექტორი

 სანდრო გახელაძე
ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	1,096,875	
მოგების გადასახადი	-	
ცვეთა და ამორტიზაცია	44,015	
ცვლილება პერიოდის განმავლობაში:		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(76,718)	
სასაქონლო მარაგები	(367,220)	
გაცემული ავანსები	(16,661)	
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(310,733)	
მიღებული ავანსები	27,888	
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(2,107)	
გადასახდელი ხელფასები	-	
სხვა ცვლილებები	-	
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		395,339
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიწა	-	
შენობა-ნაგებობები	-	
მანქანა-დანადგარები	-	
კომპიუტერული ტექნიკა	-	
ავიჯი და საოფისე აღჭურვილობა	(1,055)	
ტრანსპორტი	-	
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	
სხვა ძირითადი საშუალებები	-	
სხვა არა-მატერიალური აქტივები	-	
სხვა ცვლილებები	(0)	
შვილობილი კომპანიის შეძენა	-	
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,055)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	(119)	
დივიდენდის გაცემა	(757,000)	
აღებული სესხის ძირის დაფარვა	310,581	
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(446,538)
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		83,894
ნეტო ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის განმავლობაში		(52,254)
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		31,640

ხელმოწერი პირები:

 ნიკოლოზ დეკანოსიძე
 დირექტორი

 სანდრო გახელაძე
 ფინანსური დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს იბერია 2005” (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2004 წლის 1 დეკემბერს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რვეულების რეალიზაცია. 2021 წლის თებერვალში კომპანიის 100%-იანი წილი შეისყიდა შპს „ფავორიტი სტილი“-მა (ს/კ 404379294) და მის მფლობელს წარმოადგენს 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კომპანიის დირექტორია ნიკოლოზ დეკანოსიძე.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი ქინძმარაულის №5.

2023 წლიდან კომპანიამ შეიცვალა ფაქტიური მისამართი და საწარმოო პროცესი მიმდინარეობს ქ. თბილისი ენუქიძის N5-ში.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

კოვიდ-პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ გარემოს, 2022 წელს მოყვა რუსეთ-უკრაინის ომი. რაც პირდაპირ და ირიბად მოქმედებდა კომპანიის საქმიანობაზე, გაზრდილი არასტაბილურობის რისკის, მომწოდებლების, გაზრდილი საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯების, მომხმარებლების ქცევისა თუ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე. არსებული პირობებიდან გამომდინარე, მენეჯმენტი მუდამ ცდილობდა ალტერნატიული გზების გამონახვასა და სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას.

3. მომზადების საფუძვლები და საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

საერთაშორისო სტანდარტის ფარგლებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა ყველა მის ფასს სტანდარტები, რომელიც არის გამოშვებული და ეფექტურად ითვლება 2022 წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას და შენობა-ნაგებობებს. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მანქანა დანადგარები	5-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-7
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-8
სხვა	5-10

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის(ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა, ან პროდუქციის მიწოდება, რადგან კონტროლის გადაცემა ხდება ტრანზაქციის დღეს.

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის, საქონლისთვის ფასდათმობის, უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი.

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირ. საშუალებები	ჯამი
2022 წლის 1 იანვარი	-	852,929	4,627	-	-	-	857,556
შემოსვლა	-	-	1,055	-	-	-	1,055
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	852,929	5,682	-	-	-	858,611
დაგროვილი ცვეთა							
2022 წლის 1 იანვარი	-	(306,059)	(1,339)	-	-	-	(307,398)
ცვეთის ხარჯი	-	(42,982)	(1,033)	-	-	-	(44,015)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(349,041)	(2,372)	-	-	-	(351,414)
საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 1 იანვარი	-	546,870	3,288	-	-	-	550,158
2022 წლის 31 დეკემბერი	-	503,888	3,310	-	-	-	507,198

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომელიც იყო სრულად გაცვეთილი, მაგრამ გამოყენებაში, შეადგენდა 0 ლარს (2022 წლის 1 იანვარი: 0)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

7. ფული და ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ფულადი სახსრები სალაროში, ლარში	128	43
მიმდინარე ანგარიში ბანკში, ლარში	31,330	83,579
მიმდინარე ანგარიში ბანკში, დოლარში	52	156
მიმდინარე ანგარიში ბანკში, ევროში	-	-
დეპოზიტური ანგარიში ბანკში, ლარში	126	116
დეპოზიტური ანგარიში ბანკში, დოლარში	5	-
სულ ფული და ფულადი სახსრები	31,640	83,894

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
დაუმთავრებელი პროდუქცია	943,383	419,710
მზა პროდუქცია	464,970	604,784
სხვა მარაგები	440	17,079
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	1,408,794	1,041,573

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
მოთხოვნები მიწოდებული პროდუქციიდან	296,157	219,439
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	-	-
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	296,157	219,439

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ვალდებულება მარაგების მომწოდებლების მიმართ	14,292	320,765
ვალდებულება მიღებულ სერვისზე	1,970	6,230
ვალდებულება საიჯარო მომსახურებიდან	-	-
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,262	326,995

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

11. აღებული სესხები	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
აღებული მოკლევადიანი სესხის ძირის ნაწილი	-	-
აღებული მოკლევადიანი სესხის პროცენტის ნაწილი	-	-
აღებული გრძელვადიანი სესხის ძირის ნაწილი	310,581	-
აღებული გრძელვადიანი სესხის პროცენტის ნაწილი	-	-
სულ აღებული სესხები	310,581	-

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

12. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორსაც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, საბაჟო კანონმდებლობა და სავალუტო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არსებობა არ დაფიქსირებულა (2022 წლის 1 იანვარი: არანაირი ვალდებულება)

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: ნული).

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ შეიცვალა ფაქტიური მისამართი და გადავიდა ქ. თბილისი, ენუქიძის N5-ში.

ასევე შეიცვალა საბუღალტრო პროგრამა, რამაც მცირედით შეცვალა აღრიცხვის პრინციპები.

სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ქონია.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
აქტივები			
ფული და ფულადი სახსრები	7	31,640	83,894
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	1,408,794	1,041,573
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	296,157	219,439
გაცემული ავანსები		16,920	259
გაცემული სესხები		119	-
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
სხვა საგადასახადო აქტივები		26,035	23,929
ძირითადი საშუალებები	6	507,198	550,158
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ აქტივები		2,286,863	1,919,253
ვალდებულებები			
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	16,262	326,995
მიღებული ავანსები		28,722	834
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		-	-
აღებული სესხები	11	310,581	-
სხვა ვალდებულება		-	-
სულ ვალდებულებები		355,565	327,830
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,100	2,100
სარეზერვო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,929,198	1,589,323
სულ საკუთარი კაპიტალი		1,931,298	1,591,423
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,286,863	1,919,253

ხელმოწერილი პირები:

ნიკოლოზ დეკანოსიძე
დირექტორისანდრო გახელაძე
ფინანსური დირექტორი

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი	6,018,057	4,371,924
რელიზებული საქონლის თვითღირებულება	(4,747,621)	(3,449,532)
საერთო მოგება	1,270,436	922,392
ხელფასის ხარჯი	(202,270)	(151,590)
ტრანსპორტირების ხარჯი	(2,220)	(2,853)
იჯარის ხარჯი	(59,415)	(49,762)
კომერციული ხარჯი	(1,038)	(1,033)
კომუნიკაციის ხარჯი	(1,117)	(1,222)
კომუნალური ხარჯი	(247)	(523)
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	-	(693)
რემონტის ხარჯი	(34)	(110)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(339)	(317)
დაზღვევის ხარჯი	(544)	(302)
ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯი	(44,015)	(44,046)
ქონების გადასახადის ხარჯი	(5,142)	(5,557)
საპენსიოს ხარჯი	(8,220)	(5,853)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(5,645)	(6,480)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(330,247)	(270,342)
საერთო მოგება	940,189	652,049
საპროცენტო შემოსავალი	129	2,171
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-
სხვა არა-საოპერაციო შემოსავლები	120,480	48,574
სულ არა-საოპერაციო შემოსავლები	120,609	50,745
საპროცენტო ხარჯი	(76,034)	(15,057)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	112,112	(28,001)
სხვა არა-საოპერაციო ხარჯები	(2)	(422)
სულ არა-საოპერაციო ხარჯები	36,076	(43,480)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	1,096,875	659,315
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(378)
წმინდა მოგება	1,096,875	658,937
EBITDA	984,205	696,095

ხელმოწერილი პირები:

ნიკოლოზ დეკანოსიძე
დირექტორისანდრო გახელაძე
ფინანსური დირექტორი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2022	2,100	-	1,589,323	1,591,423
მოგება წლის განმავლობაში	-		1,096,875	1,096,875
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-		(757,000)	(757,000)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	2,100	-	1,929,198	1,931,298

ხელმომწერი პირები:

 ნიკოლოზ დეკანოზიძე
 დირექტორი

 სანდრო გახელაძე
 ფინანსური დირექტორი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის			
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება	1,096,875		
მოგების გადასახადი	-		
ცვეთა და ამორტიზაცია	44,015		
ცვლილება პერიოდის განმავლობაში:			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(76,718)		
სასაქონლო მარაგები	(367,220)		
გაცემული ავანსები	(16,661)		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(310,733)		
მიღებული ავანსები	27,888		
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(2,107)		
გადასახდელი ხელფასები	-		
სხვა ცვლილებები	-		
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		395,339	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიწა	-		
შენობა-ნაგებობები	-		
მანქანა-დანადგარები	-		
კომპიუტერული ტექნიკა	-		
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	(1,055)		
ტრანსპორტი	-		
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-		
სხვა ძირითადი საშუალებები	-		
სხვა არა-მატერიალური აქტივები	-		
სხვა ცვლილებები	(0)		
შვილობილი კომპანიის შეძენა	-		
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,055)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული სესხები	(119)		
დივიდენდის გაცემა	(757,000)		
აღებული სესხის ძირის დაფარვა	310,581		
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(446,538)	
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		83,894	
ნეტო ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის განმავლობაში		(52,254)	
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		31,640	

ხელმომწერი პირები:

ნიკოლოზ დეკანოსიძე
დირექტორისანდრო გახელაძე
ფინანსური დირექტორი